თურქული ხალხური პოეზიის ფუძემდებელი

ოთარ გოგოლიშვილი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი.
საქართველო, ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. 32/35
+995593617895. otar.gogolishvili@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0002-5196-4155
თეონა ზოიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი.
საქართველო, ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. 32/35
+995555999975. teoteozoidze@gmail.com
ORCID: 0009-0007-4462-7357

აბსტრაქტი

იუნუს ემრეს განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი სიმბოლოა ადამიანური ღირებულებების, ჰუმანიზმისა და მშვიდობის. იუნუს ემრეს საქმიანობაც სწორედ ხალხზეა ორ-იენტირებული. იუნუს ემრემ, ამ უდიდესმა პოეტმა საკუთარი ლექსებით არა მარტო მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თურ-ქული ენის განვითარებაში, არამედ საყოველთაო ადამიანურ ფასეულობებზე დაფუძნებული ფილოსოფიის მეშვეობით კაცო-

ბრიობას დაუტოვა გზავნილი, იცხოვრონ მშვიდობით განურჩევლად რელიგიისა, ენისა თუ რასისა.

საკვანძო სიტყვები: იუნუს ემრეს განსაკუთრებულობა, ადამიანური ღირებულებები, ჰუმანიზმი, გამორჩეული, თურქული ენის განვითარება, მშვიდობიანი ცხოვრება.

შესავალი

იუნუს ემრეს შემოქმედებას ეტყობა რეგიონის ისლამური კულტურის გავლენის კვალი, თუმცა მისი დერვიშული მსოფლმხედველობა, ხალხისათვის გასაგები თურქული ენა და რაც ყველაზე მთავარია, მის მიერ გამოყენებული ხალხური ლექსის ზომა, ეროვნულ ნიადაგზე წარმოიშვა და თურქული ეროვნული სულისკვეთებით არის გაჟღენთილი. ამიტომაა, რომ იუნუს ემრეს პოეზია ხალხის უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა და სარგებლობს და თავად კი აშუღური და დერვიშული ლიტერატურის ფუძემდებლად ითვლება

მეთოდები

თემაზე მუშაობისას უპირველეს ყოვლისა გამოყენებულ იქნა ანალიზის მეთოდი. ეს მეთოდი მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კონკრეტული საკითხის განხილვის დროს.

შედეგები

იუნუს ემრე იყო თურქული ანატოლიის ყველაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოღვაწე, რომელმაც აითვისა ისლამის სწავლებები და შექმნა ისლამის პირველადი ღირებულებებისა და მისტიური ხალხური პოეზიის სინთეზი. მისი ლექსი ხაზს უსვამდა ადამიანის ღირებულების მნიშვნელობას და განი-

ხილავდა ისლამს არა მკაცრი ფორმულების, არამედ სინდისის თავისუფლებისა და ფუნდამენტური ეთოსის თვალსაზრისით.

მსჯელობა

იუნესკოს გადაწყვეტილებით, 1991 წელი თურქეთის ხალხური პოეზიის ფუძემდებლის იუნუს ემრეს წლად იყო გამოცხადებული.

თურქმა ხალხმა, მისმა ლიტერატურამ ისტორიის გრძელ მანძილზე შემოქმედებითი განვითარების საკმაოდ დიდი და სრულყოფილი გზა განვლო, რომელშიც ერთ-ერთი საპატიო ადგილი შუა საუკუნეების უდიდეს პოეტს - იუნუს ემრეს უკავია.

თანამედროვე ეტაპზე თურქი ხალხის სახელოვანი შვილის იუნუს ემრეს დაბადების 750 წლისათვის აღნიშვნა მრავალმხრივ საყურადღებო მოვლენად, დროის მოთხოვნად მიგვაჩნია, ვინაიდან ერთი მხრივ, წლების განმავლობაში თურქეთისა და საქართველოს ურთიერთობა მხოლოდ და მხოლოდ უარყოფითი, ნეგატიური, დაპყრობითი ომების პრიზმით განიხილებოდა და არა ორი ერის ურთიერთობის პოზიტიური პოზიციებიდან; მეორე მხრივ, ამჟამად საქმე გვაქვს განვითარებული, რესპუბლიკური წყობის მქონე, ევროპული ცივილიზაციის გზით მიმავალ თურქეთთან; დღეს თვალნათლივ ისახება ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის სრულიად ახალი კონტაქტები; თურქი ხალხის სახელოვანი შვილის იუნუს ემრეს შემოქმედების წარმოჩენა ამ ორი ერის ეკონომიკური და პოლიტიკური კონტაქტების შემდგომი განმტკიცების საწინდარიც იქნება

იუნუს ემრეს ბიოგრაფიის შესწავლა მისი გარდაცვალების შემდეგ დაიწყო. თანამედროვე ეტაპზედაც ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბევრი საკითხი დაუდგენელი და სადავოა.

მრავალი ლეგენდა არსებობს პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე; მართალია, ლეგენდა ნამდვილ ფაქტად, ოფიციალურ მასალად არ ჩაითვლება, მაგრამ პოეტის ცხოვრების, მისი

შემოქმედებისა და მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში მისი უარყოფაც შეუძლებელია (ჯაველიძე, 1988:87).

ერთ-ერთი ლეგენდაა „ვილაეთნამე“, რომელიც შექმნილია XV საუკუნის ბოლოს. მასში მოთხრობილია ხაჯი ბეკტაშის ფანტასტიკურ ცხოვრებაზე, იგი იყო დევრიშთა ორდენის „ბეკტაშის“ დამაარსებელი. დასახელებული ორდენის პერსონაჟთა შორის მოხსენიებულია იუმნუს ემრეს სახელიც.

ლეგენდის მიხედვით ხაჯი ბეკტაში იყო მდიდარი და გავლენიანი პიროვნება; მის სასახლეში ხშირად იმართებოდა მეჯლისი. ამასთან იგი მასთან მისულ უბრალო ხალხს სურვილებს უსრულებდა. ხაჯი ბეკტაშის მახლობლად სოფელ სარიკაოში, ცხოვრობდა ღარიბი გლეხი იუნუს ემრე. იგი მიწათმოქმედებას მისდევდა და ამით არჩენდა ოჯახს. ერთ გვალვიან წელს იუნუს ემრეს მთლიანად დაეღუპა მოსავალი. ამიტომ მან თხოვნით მიმართა ბეკტეშს, თანაც საჩუქარიც მიუტანა მარცვლით დამეხმარეო. ბეკტაშმა იგი არჩევანის წინაშე დააყენა: რა უჯობდა - დალოცვა თუ პურის მარცვალი? იუნუს ემრემ პურის მარცვალი ამჯობინა, მაგრამ როცა სახლში მივიდა, დარწმუნდა, თუ როგორი შეცდომა მოუვიდა. მარცვალი ადრე გათავდა, დალოცვა კი სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვებოდა.

ლეგენდის მიხედვით იუნუს ემრე დაბრუნდა ბეკტეშთან და სთხოვა დაელოცა იგი. ამ უკანასკნელმა იუნუს ემრეს პოეტური ნიჭის ამბები, რომ იცოდა, ასეთი პასუხი მისცა: მე ჩემი ციხე-სიმაგრის გასაღები მივეცი ტაშტუკ ემრეს, მიდი მასთან და მიიღე შენი ბედიო. ეს იყო წინასწარმეტყველური სიტყვები, ტაშტუკ ემრემ იგი ტყის მცველად დანიშნა, ტაშტუკ ემრესთან ტყის მცველად დიდი ხნის მუშაობის შემდეგ, მაღალმა მბრძანებელმა ღარიბ გლეხს ნიჭი მისცა, რათა ემღერა მშვენიერი სიმღერები და გამხდარიყო დიდი პოეტი.

ერთ-ერთ ლეგენდაში მოთხრობილია, თუ როგორ ჩაიდინა სასწაული იუნუს ემრემ. ტყის მცველად მუშაობის დროს იგი წავიდა ტყეში შეშის მოსატანად, მაგრამ თოკი სახლში დარჩა. შეშა შეკრა მიწაზე უძრავად გაწოლილი გველებით. ყოველივე ეს მაშინ შენიშნა, როცა შეშა სახლში მიიტანა.

ასევე აღსანიშნავია ლეგენდა პოეტის მიერ შექმნილი ლექსების კრებულის – დივნის შესახებ. ლეგენდის მიხედვით, იუნუს ემრემ შექმნა 3.000 ლექსი. მისი სიკვდილის შემდეგ ლექსების ეს კრებული ხელსი ჩაუვარდა მოლა ყასიმს. იგი წავიდა ტბასთან და დაიწყო ლექსების კითხვა და განრისხდა, რადგან მისი აზრით, ისინი ეწინააღმდეგებოდა შარიათს. ამიტომ ამოხია 100 ლექსი და დაწვა. შემდეგ 1000 ლექსი წყალში ჩააგდო, დარჩა 1000 ლექსი. მაგრამ შემდგომი კითხვისას მოლამ წაიკითხა ერთი ლექსი, სადაც ნათქვამი იყო, ვინმე მოლა ყასიმი წაიკითხავს და შეაფასებს იუნეს ემრეს პოეზიასო. მხოლოდ მაშინ ჩაუფიქრდა ყასიმი მის წინასწარმეტყველებას, პოეტის ნიჭს. ხელში აიტაცა დივნი, აკოცა და როგორც წმინდა წიგნი, თავზე დაიდო. შემდეგ ლეგენდა მოგვითხრობს: დამწვარ ათას ლექსს ანგელოზები კითხულობენ ცაში, ათას ლექსს წყალში ჩაყრილს თევზები კითხულობენ, ხოლო გადარჩენილი ათასი ლექსით ტკბება თანამედროვენიო (გორდლევსკი, 1961:45).

ერთ-ერთ ლექსში იუნეს ემრე მიმართავს მკითხველს: როგორც გავხდი მე იუნეს ემრედ, ჩემი სახელი რატომ არის უცნაური? და თვითონვე პასუხობს: წაიკითხეთ დივნში შეკრებილი ჩემი ლექსები და გაიგებთ, ვინ ვარ, საიდან მოვდივარ, და რას ვქადაგებდიო.

გამოჩენილი ბულგარელი მეცნიერი რიზი მოლოვი, საფუძვლიანად განიხილავს იუნეს ემრეს შემოქმედებას და მას მიიჩნევს ხალხის ინტერესებისა და ფიქრების გამომხატველ ჰუმანისტ პოეტად.

თურქმა მეცნიერმა მუხამედ ფუად კიოპრულომ დიდი შრომა მოანდომა იუნეს ემრეს ბიოგრაფიისა და შემოქმედების კვლევას. მან 1918 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „პირველი მისტიკოსები თურქულ ლიტერატურაში“. მისი აზრით, იუნეს ემრე იყო გლეხი, დაბადებული XIII საუკუნის მეორე ნახევარში, სოფელში, რომელიც მდებარეობდა მდ. სკარიას მახლობლად. მკვლევარს იგი მიაჩნდა სახალხო პოეტად, მოხეტიალე მწერლად. პოეტი მოუწოდებდა ხალხს, მტკიცედ დაეცვათ ყურანში გადმოცემული დებულება და ცნება. მკვლევარი მიუთითებს, რომ ემრეს პოეზია განკუთვნილი იყო ხალხისათვის, მისი გავლენა ყველგან წვდებოდა. მკვლევარის მთავარი დამსახურება ის არის, რომ სწორედ განსაზღვრა პოეტის ხალხურობა (კიოპრულო, 1918: 40-45).

იუნეს ემრეს ბიოგრაფიისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის თურქ მეცნიერს აბდულ გიოლპინარილს. მან შექმნა მონოგრაფია „იუნეს ემრე და სუფიზმი“, დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით გააშუქა პოეტისა და მისი თანამედროვეობის შესახებ არსებული ცნობები, პოეტის ცხოვრება და მოღვაწეობა, მკვლევარმა გარკვეული შეფასება მისცა მეცნიერების მიერ იუნეს ემრეს შესახებ დაწერილ შრომებს. მან სტამბოლის ბიბლიოთეკაში ნახა სადიკ ერმის მიერ ნაპოვნი ქრონოლოგიური ცხრილი, სადაც ჩანს, რომ იუნეს ემრე გარდაიცვალა 720 წელს, ქალაქ ხიჯარში, მან იცოცხლა 80 წელი. აქედან გამომდინარე, არის ვარაუდი, პოეტი დაბადებულა 1240 ან 1241 წელს და გარდაიცვალა 1320 ან 1321 წელს. (გიოლპინარი, 1961:26).

მკვლევარმა ხალიმ ბაკი კუნტერმა 30 წელი მოანდომა იუნეს ემრეს შესახებ წიგნის დაწერას, რომელსიც გამოყენებულია მანამადე უცნობი ბევრი მასალა. ავტორის აზრით, პოეტი უნდა დაესაფლავებინათ სარიკიოში, სოფელში, რომელიც ქალაქ სიკ-

როხისას მახლობლად მდებარეობს. თურქი ლიტერატურათმცოდნის ვარფი მახირ დოჟთა თურქის მოსაზრებით, პოეტი ცხოვრობდა XIV საუკუნეში, სულთან იოდიდმირის (1389-1403წწ) დროს. მკვლევარი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პოეტის მისტიციზმს. ამასთან გამოყოფდა მის შემოქმედებაში დიდაქტიკურ და ლირიკულ მხარეებსაც. ხაზს უსვამდა იუნეს ემრეს პოეზიის „წყნარ და გამჭვირვალე სულს", „დახვეწილ და სასიამოვნო ენას" თურქი ფოლკროლისტის ჯახიტ ოზტელოღლოს ცნობით, პოეტი უნდა იყოს ესკი შეხირიდან და იგი შეიხის მემკვიდრე გამხდარა, აუშენებია კარამანის მეჩეთი. სიცოცხლის ბოლო წლებში შეიხი იუნეს ემრე ჩაითრიეს ძალაუფლებისათვის ბრძოლაში. ამ ბრძოლის პროცესში პოეტი სიცოცხლეს გამოასალამეს.

უბრალო ხალხში გავრცელებულიყო მოსაზრებაც იმის შესახებ, რომ თითქოს იუნეს ემრე უბრალო ხალხის მიერ წარგზავნილი იყო სასახლეში და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა პოლიტიკურ ბრძოლაში და ბრძოლის ინტრიგების მსხვერპლი გამხდარა (ჯაველიძე, 1985: 39).

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ: იუნეს ემრე მოხეტიალე დევრიში იყო. იგი ხალხში სუფიურ (მაჰმადიანობის მისტიკურ-ასტეკური მიმართულებაა, რომელიც VIII საუკუნეში წარმოიშვა) მოძღვრებას ქადაგებდა, თხზავდა ლირიკულ ლექსებს. ხშირად იყენებდა ხალხული შემოქმედების ფორმებს. მან შექმნა ,,სამოძღვრებო ეპისტოლე", რომელშიც გაშუქებულია რელიგიური, ეთიკური და ფილოსოფიური საკითხები. იუნეს ემრეს ენა უბრალო ხალხისთვის ადვილი გასაგებია. ყოველივე ამან განაპირობა მისი პოპულარობა.

გამოყენებული ლიტერატურა

ჯაველიძე, ელიზბარ.(1998). *თურქული პოეტიკა,* თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.

ჯაველიძე, ელიზბარ.(1985). *თურქული ლიტერატურის სათავეებთან.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

მაკარაძე, ემზარ. (2023). *„აკადემიკოსი ელიზბაარ ჯაველიძე - 85.* (რეცენზია). საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე. ტომი 6. №2. https://hos.Open journals.ge/index.php/hos/article/view/7373

Gordlevsky, Vladimir. (1961). *Perehodnii period osmanskoi literaturi* (The Transitional Period of Ottoman Literature), Vol. II, Morcow: ,,Nauka”.

Kioprulo, Mukhamed. (1918). *Türk edebiyatının ilk mutasavvıfları* (The First Sufi Poets of Turkish Literature), Istanbul: “Devlet Yayınevi”.

Gülpınar, Abdul. (1961). *Yunus Emre ve Tasavvuf* (Yunus Emre and Sufism), Istanbul: “Devlet Yayınevi”.